ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 48

“21” თებერვალი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი №33 (ს/კ. №01.19.39.009.070), კორპუსი №34, (ს/კ. №01.19.39.009.007), კორპუსი №35 (ს/კ. №01.19.39.009.034) და კორპუსი №37-თან (ს/კ. №01.19.39.009.092) (შემდგომში - წითელი აგურების კორპუსი) დაკავშირებით, ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქაალქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონული გამგეობის მიერ სხვადასხვა წლებში გამოცემული გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლების მქონე პირებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების აგრეთვე, „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი №33 (ს/კ. №01.19.39.009.070), კორპუსი №34, (ს/კ. №01.19.39.009.007), კორპუსი №35 (ს/კ. №01.19.39.009.034), კორპუის №36 (ს/კ. №01.19.39.009.088) და კორპუსი №37-თან (ს/კ. №01.19.39.009.092) დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №22.2101.2251 განკარგულების, „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი №33 (ს/კ. №01.19.39.009.070), კორპუსი №34, (ს/კ. №01.19.39.009.007), კორპუსი №35 (ს/კ. №01.19.39.009.034), კორპუის №36 (ს/კ. №01.19.39.009.088) და კორპუსი №37-თან (ს/კ. №01.19.39.009.092) დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №21 განკარგულებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის №23.187.204 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის №23.187.204 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონებების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, ამავე განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

განკარგულების დანართი №1

„ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი №33 (ს/კ 01.19.39.009.070), კორპუსი №34, (ს/კ 01.19.39.009.007), კორპუსი №35 (ს/კ 01.19.39.009.034) და კორპუსი №37-თან (ს/კ 01.19.39.009.092) დაკავშირებით გამოცემული გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირები და მათთვის გადასაცემი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მშენებარე ფართები

№	სახელი, გვარი (პ/ნ)	გადასაცემი უძრავი ქონების საერთო ფართი (კვ.მ)	გადასაცემი უძრავი ქონების საკადასტრო კოდი:	უძრავი ქონების თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებების“ თარიღი
1	ლალი კიკნაძე (პ/ნ 01029004889)	66.20	01.17.10.002.306.01.07.332	09.02.2021
2	ჯულიეტა გატენიან (პ/ნ 01011049766)	79.50	01.17.07.009.021.01.01.010	14.04.2020
3	ზარიკ გატენიანი (პ/ნ 01011031530) სოზალი გატენიანის (პ/ნ 01011031286) უფლებამონაცვლე	45.60	01.12.12.001.407.01.01.002	01.07.2021
4	ციური მარსაგიშვილი (პ/ნ 01020015922) ომარი მარსაგიშვილის(პ/ნ 01020015742) უფლებამონაცვლე	66.20	01.17.10.002.306.01.07.329 (საჯარო რეესტრის ამონაწერში მესაკუთრის გრაფაში მითითებულია: აღნაგობის უფლების საფუძველზე)	09.02.2021
5	ნატო დემეტრაშვილი (პ/ნ 01011039866) თამაზ დემეტრაშვილის უფლებამონაცვლე	66.20	01.17.10.002.306.01.07.323 (საჯარო რეესტრის ამონაწერში მესაკუთრის გრაფაში მითითებულია: აღნაგობის უფლების საფუძველზე)	09.02.2021
6	მაია მინდიაშვილი (პ/ნ 01011051491)	69.10	01.17.07.009.021.01.01.013	14.04.2020
7	თეიმურაზ ჭეიშვილი (პ/ნ 01011005948)	78.20	01.17.10.008.153.02.01.057	17.02.2022
8	თენგიზ წიქარიშვილი (პ/ნ 01027026325)	65.40	01.17.07.009.021.01.01.008	14.04.2020
9	ნოდარი რაზმაძე (პ/ნ 01027003229)	33.40	01.19.39.029.046.01.02.038	23.09.2019
10	ნანა მეცხვარიშვილი (პ/ნ 01027004991)	45.30	01.12.12.001.407.01.01.005	01.07.2021
11	მარიამ კოპჩენოვი (პ/ნ 01711103778 მაქსიმ კოპჩენოვის (პ/ნ 01027021273) უფლებამონაცვლე	39.60	01.19.39.029.046.01.02.036	23.09.2019

ხელშეკრულება
უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი, _____2023წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების საგანი

1.1 საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულებ(ებ)ის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულებ(ებ)ის საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“), მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი [●] მიერ პ/ნ: [●]*)* და მეორე მხრივ, (შემდგომში - „ქონების შემძენი“) [●] (პ/ნ [●]) მის:, [●] ვდებთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1.2 ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მშენებარე საცხოვრებელ *ფართს* [●] (საკადასტრო კოდი: №[●]) (შემდგომში - „უძრავი ქონება“)

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: [●] მომზადების თარიღი [●];

მუხლი 2. საპრივატიზებო პირობები

2.1 ამ ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემძენი უარს ამბობს [უფლების დამდგენი დოკუმენტის *[●]*], ასევე, არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების *[●]* საფუძველზე:

2.1.1 მისთვის გამოყოფილ/მიკუთვნებულ ფართებთან დაკავშირებულ საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე და აღნიშნულ უფლებას უსასყიდლოდ უთმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

2.1.2 სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ.

2.1.3 მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარდგენილ საჩივარზე/სარჩელზე.

2.2 ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ქონების იმ შემძენმა, რომლის საკუთრების უფლება ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული უფლების დამდგენი დოკუმენტებით *[●]* განსაზღვრულ შესაბამის ფართზე წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დროისათვის რეგისტრირებულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, უზრუნველყოს აღნიშნულ ფართზე [მისამართი, საკადასტრო კოდი *[●]*], ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ქონების შემძენის მიერ [მისამართი, საკადასტრო კოდი *[●]*] უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემისა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ამ პუნქტით გათვალისწინებულ უძრავი ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს.

2.3 ქონების ის შემძენი, რომელსაც ამ ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის წარდგენილი აქვს განცხადება/საჩივარი/სარჩელი ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული უფლების დამდგენი დოკუმენტებით *[●]* მისთვის გამოყოფილ/მიკუთვნებულ ფართთან დაკავშირებით, უარს ამბობს აღნიშნულ განცხადებაზე/საჩივარზე/სარჩელზე და უზრუნველყოფს აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარდგენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 3. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და გადახდის პირობები

3.1 ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური თანხა - 1 (ერთი) ლარი და მისი გადახდა, ქონების შემძენის მიერ, უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

3.3 საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773306

დანიშნულება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების გაყიდვიდან

მუხლი 4. საკუთრების უფლების გადაცემა და რეგისტრაცია

4.1. ქონების შემძენს ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული პირობებით . ქონების შემძენის მიერ საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

4.2. სააგენტო უძრავ ქონებაზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობას გასცემს ქონების შემძენის მიერ საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურების შემდგომ, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში.

4.3. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს ქონების შემძენი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

[4.4. ხელშეკრულების 2.2 ან/და 2.3 პუნქტით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებში, საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების შესაბამის ამონაწერში ამ ხელშეკრულების 2.2 ან/და 2.3 გათვალისწინებული პირობები აისახება ვალდებულების სახით და დარეგისტრირდება შემდეგი ჩანაწერით: **„შეძენილია საპრივატიზებო პირობების შესრულების ვალდებულებით“**,

4.5. ამ ხელშეკრულების 4.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შესაძლებელია გაუქმდეს მხოლოდ ქონების შემძენის მიმართვის საფუძველზე, სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.]

მუხლი 5. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

5.1 სააგენტო აცხადებს და ადასტურებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, არის მშენებარე მდგომარეობაში, უფლებრივად უნაკლოა, არ არის იპოთეკით დატვირთული და არ არის დაყადაღებული.

5.2 ქონების შემძენისთვის ცნობილია, რომ უძრავი ქონება არის მშენებარე მდგომარეობაში და მასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და *[●]*-ს

შორის 20*[●]* წლის *[●]*-ს გაფორმებულია „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება“, რომლითაც განსაზღვრულია უძრავი ქონების მშენებლობის დასრულებისა და მუნიციპალიტეტისთვის ფაქტობრივად გადაცემის პირობები.

5.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამონაცვლედ განისაზღვრება ქონების შემძენი და მასზე სრულად გავრცელდება ამ ხელშეკრულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის/სააგენტოს უფლებები და ვალდებულებები.

5.4 მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი და მდგომარეობა შეთანხმებულია მათ შორის და არ არის სადავო. ამასთან, ქონების შემძენი აცხადებს, რომ უძრავი ქონების მშენებლობის განსაზღვრულ ვადაში დაუსრულებლობის ან/და მშენებლობის დასრულების შემდეგ უძრავი ქონების ხარისხთან ან/და მდგომარეობასთან დაკავშირებით არ აქვს და არ წარმოეშობა რაიმე მოთხოვნის უფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ან/და სააგენტოს მიმართ.

5.5 ქონების შემძენი აცხადებს და ადასტურებს, რომ ნამდვილად წარმოადგენს [**უფლების დამდგენი დოკუმენტით** *[●]*] განსაზღვრული უფლების მქონე პირს და არ არსებობენ მესამე პირები, რომელთაც აღნიშნულთან დაკავშირებით, მის მიმართ აქვთ პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება.

5.6 ქონების შემძენი აცხადებს და ადასტურებს, რომ მას ან/და მის წარმომადგენელს/უფლებამონაცვლეს სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან, მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, არ მიუღია არანაირი უძრავი ქონება, მატერიალური ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ფულადი თანხა და ა.შ. [**უფლების დამდგენი დოკუმენტით** *[●]*] განსაზღვრულ უფლებასთან დაკავშირებით ან/და მისგან გამომდინარე

5.7 როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულების მე-2 მუხლში, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ქონების შემძენი სრულად ამბობს უარს [**უფლების დამდგენი დოკუმენტით** *[●]*] მისთვის გამოყოფილ/მიკუთვნებულ ფართებთან დაკავშირებულ საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე და აღნიშნულ უფლებას უსასყიდლოდ უთმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. იგი ასევე, უარს აცხადებს სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ამასთან, ქონების შემძენი უარს აცხადებს [**უფლების დამდგენი დოკუმენტით** *[●]*] მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარდგენილ საჩივარზე/სარჩელზე.

5.8 ქონების შემძენი ვალდებულია საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება ამ მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

6.2 საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა, ყველა სხვა შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება 100 (ასი) ლარით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის გადასახდელი ნაწილის სრულად გადახდამდე ან სააგენტოს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლამდე, იმის მიხედვით რომელი გარემოებაც დადგება უფრო ადრე.

6.3 პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

6.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების, მათ შორის, ხელშეკრულების 2.1, 2.2 და 2.3 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის/ამავე პუნქტებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

6.5. გარდა 6.4. პუნქტით გათვალისწინებულისა, ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

6.6. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული უძრავი ქონება ბრუნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და უძრავ ქონებაზე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, დარეგისტრირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება. ამასთან, შესაბამის ფართზე, არსებობის შემთხვევაში, გაუქმდება იპოთეკის ან/და სხვა სახის უფლებები.

6.7. ამ მუხლის შესაბამისად ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის/სააგენტოს მიერ არ აუნაზღაურდებათ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

მუხლი 7. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

7.1 მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1 ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

8.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

8.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

8.4 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო

[●] ----------

[●] ----------